

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ემზარ პაქსაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

იური ვაზაგაშვილი – კოლეგიის წევრი

კახაბერ წერეთელი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – მ. ხ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 04.03.11

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ხ. გ.

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ხ. გ. „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

აღწერილობითი ნაწილი

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1. 2011 წლის 4 მარტს საქართველოს მოქალაქე მ. ხ. მომართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ ხ. გ. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

12. საჩივრის მიხედვით, ადვოკატი ხ. გ. წარმოადგენს მ. ხ. მოწინააღმდეგე მხარის, ქ. ფ. ადვოკატს, რომელსაც ქონებრივი ღირებულება მ. ხ..

13. მ. ხ. განმარტავს, რომ ის უსამართლოდ არის გამოსახლებული მშობლების საკუთრებაში არსებული სახლებიდან, 2009 წლის ივლისის თვეში თბილისის ბინიდან (განჯაფარიძის ქ. №12) და 2010 წლის ივნისის თვეში მცხეთის აგარაკიდან (კოსმონავტების ქ. №2ა), რაც განხორციელდა ქ. ფ. მიერ მისი ადვოკატის, ხ. გ. ხელშეწყობითა და დახმარებით.

14. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2011 წლის 1 მარტს სააპელაციო სასამართლოს დასრულების შემდეგ, ადვოკატი ხ. გ. დაემუქრა: „შენ მე დამაცადე! ქუჩაში და სიცივეში გდებით ამოგხდი სულსო!“ მ. ხ. აღნიშნავს, რომ 2011 წლის 3 მარტს მის ადვოკატთან, თ. ი. საუბარში ხ. გ. აღნიშნა: ქ. ფ. რომ წამოვიდეს მოლაპარაკებაზე, მ. ხ. მე სიცოცხლეს მაინც გავემწარებო.“

15. მ. ხ. განმარტავს, რომ საქმის დაწყების დროიდან მ. ხ. უხეში და უზრდელო ქცევით გამოირჩევა მის მიმართ; მონაწილეობას იღებს უსამართლო საქმეში ადვოკატად და ცდილობს, რომ გააღიზიანოს და გაამწაროს თავისი ქმედებით, მიაყენოს სიტყვიერი შეურაცყოფა.

საჩივრის ავტორთან დისციპლინური კოლეგიის გასაუბრება შედგა 2011 წლის 22 მარტს, რა დროსაც მან წერილობით უპასუხა დისციპლინური კოლეგიის წევრების კითხვებს.

2. ადვოკატ ხ. გ. განმარტების მიხედვით:

ადვოკატმა ხ. გ. 2011 წლის 23 მარტს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება მ. ხ. საჩივართან დაკავშირებით.

2.1. ადვოკატის განმარტების მიხედვით, 2009 წლის ივნისის თვიდან იცავს ა. და თ. ხ. და მათი წარმომადგენლის ქ. ფ. ინტერესებს მ. ხ. წინააღმდეგ ქონებრივ ღირებულებაში.

2.2. ადვოკატი განმარტავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2010 წლის 8 ოქტომბერსა და 2010 წლის 22 ოქტომბერს მიღებული იქნა გადაწყვეტილებები მ. ხ. და მის მარწმუნებლებს შორის არსებული ქონებრივი ღირებულების თაობაზე.

2.3. ადვოკატი აღნიშნავს, რომ 2009 წლის ივლისის თვეში მ. ხ. გამოსახლებული იქნა მცხეთის სახლიდან, ხოლო 2010 წლის ივნისის თვეში თბილისში მდებარე ბინიდან.

2.4. ადვოკატი აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორი თავად აყენებდა შეურაცყოფას მას, მის მარწმუნებლებსა და ქ. ფ. მეუღლეს, გამოირჩეოდა თავხედობითა და უზრდველობით სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას და გამოსახლების დროს.

2.5. ადვოკატი ხ. გ. აღნიშნავს, რომ 2011 წლის 1 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლოში გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ, მ. ხ. სასამართლოს შენობაში მიაყენა სიტყვიერი შეურაცყოფა და ეძახდა „ჩამოთრეულო, გოდრიო ჩამოტანილო, გოდორ, გოდორ და ა.შ. ყველის გამყიდველო და სოფლიდან ყველი არ ჩამოგიტანიაო და ა.შ“. ადვოკატი აღნიშნავს, რომ მ. ხ. უწმაწურად იგინებოდა სასამართლოს შენობაში.

2.6. ადვოკატი ხ. გ. აღნიშნავს, რომ მ. ხ. განცხადება მის მიერ მ. ხ. შეურაცყოფის მიყენების თაობაზე არ შეესაბამება სიმართლეს და არ არსებობს ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

2.7. ადვოკატი განმარტავს, რომ იგი არ დამუქრებია მ. ხ. იმ სიტყვებით, რაც საჩივარშია მითითებული და თავად საჩივრის ავტორი ემუქრებოდა მასსა და მის მარწმუნებლებს.

2.8. ადვოკატი ხ. გ. აღნიშნავს, რომ მ. ხ. მიერ წარმოდგენილი საჩივარი არ შეიცავს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ საფუძველზე რაიმე სახის დარღვევას, რომელიც საფუძველი გახდება მის მიმართ დისციპლინური სახდელის დაკისრების და ითხოვს, რომ მ. ხ. უარი ეთქვას საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

სამოტივაციო ნაწილი

1. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

1.1. ადვოკატი ხ. გ. 2006 წლიდან არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი.

1.2. მოქალაქე მ. ხ. ეთიკის კომისიაში საჩივარი შემოიტანა 2011 წლის 4 მარტს.

1.3. სადავო ქმედება განხორციელებულია 2009 წლის ივლისის თვიდან დღემდე. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

2. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ხ. გ. მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

3. სამართლებრივი შეფასება

3.1. საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი ხ. გ. დაესმარა ქ. ფ. მის უკანონო გამოსახლებაში თბილისში მდებარე ბინიდან და მცხეთაში მდებარე სახლიდან; ასევე ადვოკატი ხ. გ. დაემუქრა სასამართლო პროცესის შემდგომ და მიაყენა სიტყვიერი შეურაცყოფა; კერძოდ: „შენ მე დამაცადე! ქუჩაში და სიცივეში გდებით ამოგხდი სულსო!“

3.2. საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ მ. ხ. საჩივარი დაუსაბუთებელია, რადგან ადვოკატ ხ. გ. მის მიმართ არ დაურღვევია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ ნორმები.

3.3. საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატი ხ. გ. იცავდა თავისი კლიენტის ინტერესებს და მოქმედებდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3.4. ეთიკის კომისიამ საქმეზე №087/10, 2010 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებაში დაადგინა: „წაგებული მხარის პრეტენზია მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის მიმართ იმის გამო, რომ მან წარმატებით განახორციელა კლიენტის ინტერესების დაცვა, ვერ გახდება მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.“

3.5. საპროცესო კოლეგია მნიშვნელოვნად მიიჩნევს მიუთითოს, რომ ეთიკის კომისიას არ გააჩნია კომპეტენცია იმსჯელოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა და სასამართლო პროცესის მიმდინარეობის თაობაზე. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, ეთიკის კომისია ვერ შეაფასებს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2010 წლის 22 ოქტომბრისა და 2010 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებებს მ. ხ. და ქ. ფ. შორის არსებულ ქონებრივ დავასთან დაკავშირებით.

3.6. საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ხ. გ. მიერ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაძლო დარღვევის თაობაზე.

3.7. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად: „ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილე პირთა უფლებები“.

3.8. ეთიკის კომისიამ, საქმეში №075/10, 2010 წლის 29 თებერვალის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ „ადვოკატმა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა დაიცვას არა მხოლოდ თავისი კლიენტის ინტერესები და უფლებები, არამედ პატივი უნდა სცეს პროცესის სხვა მონაწილე პირთა უფლებებს. მათ შორის, მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლების უფლებებსაც.“

3.9. საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ხ. გ. მიერ საჩივრის ავტორის მიმართ მუქარისა და შეურაცყოფის განხორციელების ფაქტი, გარდა საჩივარში მოცემული გარემოებებისა, არ დასტურდება სხვა სახის მტკიცებულებებით. საჩივრის ავტორს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა საჩივარში მოყვანილ გარემოებებს.

1.1. საპროცესო კოლეგიამ ადვოკატ ხ. გ. ქმედებებში ვერ აღმოაჩინა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ ნორმების შესაძლო დარღვევა და მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საჩივარი ინფორმაციის სისწორის შემთხვევაშიც კი არ იძლევა დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველს“, რაც ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს.

სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და 33-ე მუხლით; ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-19 მუხლით, 27-ე, 28-ე, 30-ე და 31-ე მუხლების საფუძველზე

გ ა დ ა წ ე ვ ი ტ ა:

1. მ. ხ., 04.03.11 წლის საჩივარი №024/11 არ დაკმაყოფილდეს. საჩივრის ავტორს უარი ეთქვას ადვოკატ ხ. გ. მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრაზე.

3. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.

4. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის ადპერაზე უარის თქმის შესახებ საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

კოლეგიის თავმჯდომარე - ემზარ პაქსაძე

კოლეგიის წევრი – იური ვაზაგაშვილი

კოლეგიის წევრი - კახაბერ წერეთელი